საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

პარასკევი, 12 დეკემბერი 1919 წ. № 223.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია (ღია 9—2 და 5—7).
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე; დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.
მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის აღრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა (ღია 9—2 და 5—7).
გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 3 მ. უკანასკნელზე 2 მ. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ 75 მ., 12 საათის შემდეგ 100 მ.

კვირას, 14 დეკემბერს, დილის 10 საათზე საზოგადო საკრებულოს დარბაზში (საზამთრო კლუბში. ვორონცოვის ქუჩა) დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

საზოგადო კრება.

მოხსენებებს სხვა და სხვა საკითხებზე გააკეთებენ: კომიტეტის თავმჯდომარე ალ. თორაძე, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი ვ. წერეთელი, და საბჭოს ფრაქციის თავმჯდომარე ტრ. ჯაფარიძე. ამის შემდეგ მოხდება ქალაქის კომიტეტის წევრების არჩევნები.

ქუთაისის საეპარქიო მმართველობის საბჭო,

თანახმად სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს წინადადებისა, ამით აცხადებს, რომ აღნიშნულ საბჭოს კანცელარიაში (არქიელის გორა) ორშაბათს 22 ამა დეკემბერს გაიყიდება

ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲗ

მოწამეთის მონასტრის კუთვნილი სახლი, ქუთაისში (ფერმის ქუჩაზე). (3—1).

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲢᲧᲐᲕᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲠᲘᲝᲜᲘ

აცხადებს: ერთი ამხანაგთაგანი თავის სურვილით გავიდა ამხანაგობიდან, სერგო წყალობას ძე სამთელაძე, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ამხანაგობა „რიონთან“. (2—2).

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს ქვემო ჩამოთვლილ სავაჭროებისა და სამრეწველოების პატრონებს გამოცხადდენ გამგეობის დარბაზში თავიანთ წრიდან კომისიების ასარჩევად, რომელთაც დაევალება ქალაქის საბჭოს მიერ მიღებული სანიტარული გადასახადის გადამხდელებზედ გაწერა (იხ. საქ. ქალ. და მაზრ. ერობ. სასარგ. ერთდრ. სანიტ. გადას. შემ. დეკრეტის მე-2 მუხლი) გაწერა უნდა მოხდეს ქვემო აღნიშნულ რიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში. უკეთუ რომელიმე დარგიერარს განაცხადებს გადასახადის განაწილებაზე, ან მათ მიერ განაწილების ნორმებს ქალაქის გამგეობა არ დაეთანხმება, მაშინ თვით გამგეობა განაწილებს თავის მოსაზრებით გადასახადს, რომელიც გადამხდელებს უდაოთ გადახდება.

11 დეკემბერს, დღით ხუთშაბათს, 1 საათზე.

1. ბამბით და მატყლით სავაჭროები, საბნის მკერავები და გადამკვრელები (обойщикъ).
2. ბეჭდების და შტემპელების სახელოსნოები.
3. გამომჭრელები (закройщикъ), ევროპიული ტანსაცმელის მკერავები და თერძები.
4. დალაქები და პარიკმახერები.
5. ადგილობრივი შალით მოვაჭრენი.
6. ზეინკალი, ხარატი, იარაღის სახელოსნო, კავკასიური მაღაზია და მკალავები.

12 დეკემბერს, დღით პარასკევს, 1 საათზე.

7. თამბაქოს მაღაზია.
8. კარეტნიკი, მჭედელი, ნალბანი და შორნიკი.
9. კარსეტების და ქალის შლიაპების, მოდის და ქუდების სახელოსნო.
10. ცივი სასმელებით სავაჭრო.
11. კუბოს მაღაზია და სტოლიარების სახელოსნო.
12. მექანიკური და ელეკტრონული სახელოსნო.

15 დეკემბერს, დღით ორშაბათს, 1 საათზე.

13. სავაჭრო და სამრეწველო შენობების პატრონები.

ქალაქის გამგეობა.

დამწუხრებული მშობლები გიორგი ზურაბის ძე და ივლიანე თედორეს ასული გურგენიძეები და ასულნი მათი ჟენია და ნინო მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ განსვენებულის მათი ერთად-ერთი საყვარელი ვაჟის და ძმის ახალგაზდა იურისტის

კოლია გურგენიძის

სულის მოსახსენებლად, დანიშნულია 14 დეკემბერს დღით კვირას 10 საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში წლის წირვა და პანაშვიდი.

კვირას 14 დეკემბერს ვაჟთა მეორე გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია მომხმარებელი საზოგადოების

„მომავალის“ არარჩეულებრივი კრება.

ინიციატივიდან კრება მეორეთაა დანიშნული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენნი წევრიც არ უნდა დაესწროს.

გამგეობა.

დღეს გვარდიის დღეა!

დღეს გვარდიის დღეა!

გვარდია და რეგულიარული ჯარი, ორი სამხედრო ძალა, ორი შეიარაღებული ხელი, მტერთაგან მომგერებელი—თანასწორად სათაყვანო და სადიდებელია.

ორისავე სისხლი თანასწორად ღირს!

ამიტომ ვეგებებით გვარდიის დღეს ზეიმით.

მართალია, ეროვნული დემოკრატია აკრიტიკებდა და დღესაც აკრიტიკებს გვარდიის წესდებას.

მაგრამ ეს კრიტიკა იმისდა არის მიმართული, რომ გვარდია თავისუფალი იყოს არაპირდაპირ მოვალეობისაგან.

ჩვენ გვწადია, რომ გვარდიას მის დიდსა და სამძიმო საქმეში ხელს არაფერი უშლიდეს.

იმ ბედშავ დროს, როდესაც ხალხს მონობაში სული ხდებოდა, კაზაკებიც კი პროტესტს აცხადებდენ, როდესაც მათ ადმინისტრატიულ მოვალეობას აკისრებდენ.

და უეჭველია: გვარდია ადმინისტრატიული ფუნქციებისაგან უნდა განთავისუფლდეს.

მართალია, პირველად გვარდიის ჩარევა შინაურს, პარტიულ ბრძოლაში აუცილებელი იყო.

ეს არ ახსოვს, მაგალითად, როდესაც გვარდიამ ქუთაისში ფრონტიდან დაბრუნებულის გაბოლშევიკებული ჯარისკაცების თავგასულობა ალაგმა! რა საშინელ უპატიურობას გადაარჩინა მოქალაქენი!

დიაღ! ქუთაისს არაოდეს არ დაავიწყდება გვარდიის ამაგი.

მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

და დღეს, როდესაც მთავრობას კარგად მოწყობილი ადმინისტრაცია ჰყავს, გვარდია ყოველ დღიურის ადმინისტრატიული მოვალეობისაგან თავისუფალი უნდა იყოს.

იმავე დროს გვარდია, როგორც ჯარი, პარტიული ბრძოლის გარეშე უნდა იდგეს.

სულ სხვაა, როცა მტერი შეიარაღებულს შინაური აჯანყებას აწყობს, მაშინ, ცხადია, გვარდიაცა და ჯარიც მოვალე არიან შეებრძოლონ მეამბოხეთ.

მაგრამ კვლავ ვიტყვი: გვარდიას ყოველდღიური ადმინისტრატიული ფუნქციები უნდა აეხსნას.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ თანდათან უფროდაუფრო ირკვევა გვარდიის როლი: გარეშე მტერთან ბრძოლა.

მაშ სახალხო, ეროვნული შეიარაღებული ძალა რეგულიარულ ჯართან ერთად, პარტიული ბრძოლის გარეშე მყოფი და გარეშე მტერთან მებრძოლი—აი რად გადიქცა გვარდია.

დიაღ! სახელმწიფოებრივი ფუნქციების სათანადო განაწილება გვარდიას მისთვის შეუსაბამო ფუნქციებს საბოლოოდ ჩამოაშორებს, ვინაი-

დღიური.

ბერლინში ჰინდერბურგის გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის შესახებ დიდ აგიტაციას ეწევიან.

პარლამენტის არჩევნებში სოციალისტების გამარჯვების გამო იტალიის მეფე გადადგომას აპირებს.

უმუშევართა რიცხვი ინგლისში დღითი დღე იზრდება.

პენზანში მრევლისა და სასულიერო პირთა მრავალ ათასიან ყრილობაზე ახალ თავისუფალ სახალხო რუსეთის ეკლესიის შექმნა გამოაცხადეს.

წაბლის ხევის ტყე იწვის.

წერილები:

მეთაური:—დღეს გვარდიის დღეა!

ნესტარი:—ეს არის მეურნეობა?

ბიკ. მუხურელი:—სახალხო გვარდიას.

დან წვრილმანი ადმინისტრატიული საქმეები—ადმინისტრაციას პირდაპირი მოვალეობაა.

ეროვნული დემოკრატიის კრიტიკის დედააზრი მხოლოდ ეს იყო და არის.

და ჩვენც სიყვარულსა და თანაგრძნობას ვუძღვნით გვარდიელთ, როგორც სამშობლოს მცველთ, სამშობლოსათვის თავის შემწირველ მამულიშვილთ.

ეს არის მეურნეობა?!

სოხუმში მდგარ ჯარს, რომელიც იცავს დენიკინის თავდასხმისაგან სოხუმის მხარეს, ქუთაისის საინდეტანტო სიმინდს ქუთაისიდან უგზავნის.

იმავე დროს სოხუმის მხარეს სიმინდი თავზე საყრელი აქვს, იმერეთი და სამეგრელო კი—დამშეულია!

საკვირველია: სოხუმის მხრის ეროვნული საბჭო იმას აღარ დასჯერდა, რომ სოხუმის მხარეს ზღუდე შემოავლო და საქართველოში სიმინდი არ შემოუშვა.

ადგილობრივი ჯარისთვის საჭირო სიმინდის ყიდვაც კი აღგვიკრძალა!

აქვს თუ არა მას ამის უფლება?! და, თუ არ აქვს რა ღონისძიებას ხმარობს საქართველოს წარმომადგენელი საქართველოს ინტერესების დაცვისათვის?!.

სამწუხაროდ, მთავრობის ოფიციოზური გაზეთები არაფერს ამბობენ.

მაგრამ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნ. თავდგირიძემ ბევრი უცნაურობა გამოამზეურა.

ყველაზე უფრო უცნაური კი ის არის, რომ აფხაზეთის ეროვნულ საბჭოში ცოტაა ადგილობრივი ხალხის—აფხაზებისა სამურძაყანოელი მეგრელების—წარმომადგენელი.

და ეს მიტომ, რომ ჩვენმა გაბატონებულმა პარტიამ—სოციალ-დემოკრატიამ—ნება დართო სომხებს, რუსებსა და ბერძნებს—არა საქართველოს ქვეშევრდომთ—არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ.

ამგვარად აფხაზეთის ეროვნული საბჭოს უმეტესობა—უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების წარმომადგენლებისაგან შედგება და, რა საკვირველია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტიცებას ხელს შეუწყობს?!.

მაგრამ სად, რომელ ქვეყანაშია ასეთი წესი, რომ რესპუბლიკის ნაწილი რესპუბლიკას გამოყოფოდეს და თავისი დედა-სახელმწიფოს წინააღმდეგ, პოლიტიკას აწარმოებდეს?!

მიკვირს, რატომ აძლევენ ამის ნებას აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს?!. და რატომ არ გამოაცხადებენ ვაჭრობის თავისუფლებას საქართველოს მთელს ტერიტორიაზე?!

განა შეიძლება უამისობა?!.

და ამასა ჰქვია სახელმწიფოებრივი მეურნეობა?!

ნესტარი.

სახალხო გვარდიელებს.

საქართველო დღეს სახალხო გვარდიის შექმნის ორი წლის თავს დღესასწაულობს. სახალხო გვარდია საქართველოს ისტორიის წარსულში მუდამ იარსებებს. საქართველოს სახალხო გვარდიას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა დღესაც დიდი აქვს. იგი რეალური ძალა არის, რომელზედაც უნდა დაეყრდნოს საქართველო მაშინ, როცა დამოუკიდებლობის საკითხს გარეშე მტერი ემუქრება. ამავე ძალას ეყრდნობოდა, და უნდა დაეყრდნოს ჩვენი რესპუბლიკა შინაურ ანარქიის დროს.

ჩვენ სახალხო გვარდიაზე შეიძლება ორი ისტორია დაიწეროს, ისტორია სოციალისტებისგან და ისტორია ნაციონალ დემოკრატებისგან. ჩვენ არ ვიცით რა ჩარჩოებში ჩამოაყალიბებენ სოციალისტები საქართველოს სახალხო გვარდიის ისტორიას, რა ხოტბით მოიხსენიებენ მათ, მაგრამ ნაციონალ დემოკრატების ისტორიაც არ იქნება ნაკლებ დამაფასებელი სახალხო გვარდიის.

ჩვენ ვიტყვით, რომ სახალხო გვარდიამ ხელი შეუწყო საქართველოს რესპუბლიკას დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. სახალხო გვარდია მედგრათ იბრძოდა სომხეთ საქართველოს ომის დროს. გვარდიამ დაუფასებელი თავგანწირულობა გასწია დენიკინთან ბრძოლაში, სოჩის ფრონტზედ, აჯანყებულ ოსებთან მამისონის უღელტეხილისკენ, ახალ ქალაქ-ახალციხის ბრძოლებში, და სხვა. ჩვენი ისტორია დააფასებს სახალხო გვარდიის მოქმედებას, არა მარტო გარეშე მტრებთან, არამედ შინაურ ანარქის დროსაც. როცა ვითომდა გაბოლშევიკებული საზოგადოების ნაწილი ვერაგულათ ანადგურებდა საქართველოს გარეშე პერიფერიებს, იყო ეს გურია, იყო ლეჩხუმი, საჩხერე თუ სხვა რომელიმე პროვინცია.

როცა ამ ჩამოთვლილ ფაქტებს, კიდევ მოსალოდნელი ამბოხების ჩაქრობა დაემატება, სახალხო გვარდიის ლვაწლი წითელი ასოებით ჩაიწერება არა სოციალისტებისგანაც ისტორიაში.

ჩვენის თქმით სახელმწიფოს ყოველი რეალური ძალა ზეპარტიული და ზეკლასიური უნდა იყოს. ჩვენ, სახალხო გვარდიაც ასეთი გვგონია. სანამ სახალხო გვარდია სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებს საქართველოში, სანამ ის დამოუკიდებლობის განმტკიცებას მტკიცეთ მოითხოვს, სანამ გვარდია ანარქიის მტერია, არც ერთ მოქალაქეს არ აქვს უფლება სთქვას, რომ იგი პარტიულია, რომ სახალხო გვარდია თუ გინდა სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგებოდეს, თუ ამას ვერ იტყვიან სოც. დემოკრატები, მით უმეტეს, სხვა რომელიმე პარტია. ჩვენ სახალხო გვარდიაში ბევრი არა სოც. დემოკრატი გვინახავს.

სახალხო გვარდია ვერ იქნება პარტიული რამდენ ის წმინდა სახელმწიფოებრივ საქმეს აკეთებს. მაგრამ თუ გვარდია პარტიულ გზას დაადგა, თუ მან მიზანში ამოიღო იდეურათ მებრძოლი ერთი რომელიმე პარტია, და იდეიას ზარბაზნები დამიზნა, მაშინ ჩვენ ვიტყვით რომ ისე ადარ იქნება არც ზეკლასიური, და არც სახელმწიფოებრივი ძალა.

სახალხო გვარდია რევოლიუციამ წარმოშვა. რევოლიუცია ნგრევის პროცესია, და სახალხო გვარდიაც ანგრევდა რაც დასანგრევთ იყო.

დღეს სახალხო გვარდია სახელმწიფოს შექმნის საქმეს ხელს უწყობს, და ებრძვის ვინც ახალ შექმნილს კვლავ დანგრევას და განადგურებას უპირობს.

რევოლიუციაც დასრულდება.

სახელმწიფოც სავსებით ჩამოყალიბდება თავის ჩარჩოებში.

დასანგრევი აღარაფერი იქნება,

ხალხი თანდათან გამოირკვევა,

რეალურ დამიზან შეწონილ გზას დაადგება,

სახელმწიფო მილიტარულ ძალათ, რეგულიარი ჯარის ორგანიზაციას დაეყრდნობა,

და სახალხო გვარდიას მადლობით და ზეიმით გამოემშვიდობება.

დღეს კი ორი წლის თავზე, როცა ვითვალისწინებთ მათ ღვაწლს, ჩვენც სალამს უძღვნით და საზოგადო ზეიმში მონაწილეობას ჩვენც ვიღებთ.

ბიკ. მუხურელი.

პრესა.

გენერალ დენიკინის ბრძანებამ, საზოგადოებაში აზრი დაბადა, რომ სომხეთის რესპუბლიკის მოწინააღმდეგეს, ის ვერ ინელებს. ეს გაუგებრობას ქმნის საზოგადოებაში. როცა ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ დენიკინი ჩვენი მტერია და სომხების მეგობარი, ჩვენ წინ საკითხი იჭრება ვისკენ არის თვით სომხეთი? ამის შესახებ გაზ. „ვოზროჟდენიე“ წერს:

„როგორც ჩანს სომხეთი გენ. დენიკინის მფარველობის ქვეშ დგას და სომხეთის ტერიტორიის მოდავე რუსეთის სახელმწიფოებრივ დამნაშავეთ ითვლება და მოხალისეთა ჯარის მტრულ განწყობილების თანასწორია. საგულისხმო იყო ამია შესახებ სომეხ[illegible] შევკითხოდიო, [illegible] ხან გვარწმუნეთ[illegible] ამერიკა-კავკასიის რესპუბლიკების სოლიდარულ განწყობილებაში. აქვს თუ არა გენერალ დენიკინს უფლება თავის თავს სომხეთის დამცველი უწოდოს და თუ აქვს როდის მიიღო მან ასეთი მანდატი?.

რამდენათაც ჩვენ ვიცით სომხეთის რწმუნებულები მანდატის შესახებ. ამერიკასთან აწარმოებდენ მოლაპარაკებას. და იცის თუ არა ამერიკის მთავრობამ, რომ გენ. დენიკინი უკვეა სომხეთის „ოჰეკუნი“?

... ხომ არ მოისურვებს ბ-ნი ხატისოვი უარჰყოს ბრძანების აზრი და კატეგორიულათ მიუთითოს გენ. დენიკინს, რომ.... მას არ აქვს უფლება სომხეთის დამცველათ გამოვიდეს.

..... და განაცხადოს. ვისთან არის სომხეთი? ჩვენთან თუ მოხალისეებთან. ბ. ხატისოვი ვალდებულია უარყოს გენ. დენიკინის სიტყვები, თუ ამერ-კავკასიის რესპუბლიკებთან მეგობრობა სურს.

მან უნდა განაცხადოს, რომ სომხეთზე მანდატი გენერალს არ აქვს“.

ტყის კანონის გადასინჯვის გამო გაზ. „კლდე“ ში გრ. ვეშაპელი შემდეგს წერს:

„აგრარულმა კანონმა მიმატების მაგიერ, ბევრი რამ წაართვა სოფლელებს, გლეხებს, რაც მათ რევოლუციამდე ჰქონდათ.

აგრარული კანონების დამწერნი პირდებიდენ გლეხებს მიწის მიცემას, ამისათვის დააწერეს ნორმა, ნორმაზე მეტი მამულები სახელმწიფო ფონდში ჩარიცხეს და აქედან შეპირდენ უმიწა-წყლოს მამულის მიცემას.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნორმაზე მეტი მიწა ნამდვილათ თავისუფალი კი არ ყოფილა, იგი დიდი ხანია დანაწილებული იყო მემამულეების მიერ მახლობელ გლეხების შორის: ზოგს იჯარით ჰქონდა, ზოგს ნაყიდიც ჰქონდა შინაური წესით..

ერთად ერთი ცვლილება, რომელიც მოუტანა რეფორმამ გლეხებს ეს ის რომ მიწის იჯარას ან ლალას წინანდელ მემამულის მაგიერ, ეხლა სახელმწიფოს აძლევს და უფრო მეტსაც; და უბედურება იმაშია, რომ არც ხაზინამდის აღწევს ეს ლალა: იგი გზაში იცრება...

რევოლუციამ და აგრარულმა რეფორმამ ვერ დაბადა ახალი მიწები და ამიტომ გლეხი განაგრძობს ისევ ძველი ნაცადი გზით მიწის შეძენას...

გლეხიცა და ხაზინაც კარგად გრძნობენ, რომ ერთმანეთს ატყუებენ, როდესაც ათიათასად ღირებულ დესეტინაში ათას მანეთზე რიგდებიან—ეს მხოლოდ დამატებითი ხარჯია.

მაგრამ არსად არ დატაკებია სოფლის მცხოვრებთა ინტერესებს მიწის კანონი ისე, როგორც ტყის საკითხში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრარულმა კანონმა გამოაცხა
ა სახელმწიფო საკუთრებად ყვე-
ა ტყეები და ტყედ კი გამოაც-
ოდეს ყოველი ბუჩქი და ჩიგვნარი.
ამ გვარად სოფლის მცხოვრებთ
ართვეს ის, რაც მათ რევო-
უციამდე ჰქონდათ: წაართვეს
კუთარი ტყე და აუკრძალეს
ფასო სარგებლობა იმ არასაკუ-
ური ტყითაც, რომელიც ან დი-
ი მემამულესი, ან სახელმწიფო-
ი იყო, მაგრამ რომელშიაც რე
ოლუციამდე გლეხი თავისუფლად
ოდა....

ყველაფერმა ამან ისე გაზარდა
ოფლის უკმაყოფილება, რომ
კანასკნელ დროს ხალხი ბევრ-
ან გაყვა აჯანყებულ ბოლშევი-
ებს და სისხლი დაიღვარა;

მხოლოდ ამის შემდეგ სოციალ-
ემოკრატია დათანხმდა აგრარულ
ანონის შესწორებაზე და შემო-
ტანა დეკრეტი, რომლითაც ტყე
ორმის ზომით მესაკუთრეს უკან
აუბრუნდება და ამის გარდა სა-
ელმწიფო ტყით სარგებლობაც
ოფლის მცხოვრებთა საჭიროე-
ისათვის უფასოდ ცხადდება.

სჯობს გვიან, ვიდრე არასო-
ეს, მაგრამ ჩვენი სურვილია,
ომ მთავრობის პარტია არ უც-
ოდეს ხოლმე მორიგ აჯანყებებს,
ომ ესა თუ ის თავისი კანონი
ადასინჯოს.

აგრარულ კანონებში ბევრი
ამაა კიდევ გადასასინჯი და ტყის
კითხის გადაწყვეტა მხოლოდ
ასაწყისი უნდა იყოს ამ გადასინ
ვისა".

ქართველოს დამოუკი-
დებლობის გარშემო.

**თავრობის წრეებში მიღებულია
ოფიციალური ცნობა, რომ
დღეებში ინგლისი გამოაცხა-
ს საქართველოს და აზერბაი-
ის დამოუკიდებლობას.**

**ანტი და ამიერ-კავკასიის რეს-
პუბლიკები.**

ბილისში მიღებულ ცნობების
ახმად შეთანხმების სახელმწიფოებს
ოდ ემჩნევა ამიერ-კავკასიის ახალ
ბუბლიკებისადმი კეთილი განწყო-
ება; ისინი უთუოდ იცნობენ
რესპუბლიკების დამოუკიდებ-
ბას, რაშიაც მოსალოდნელია
ალისეთა წარმომადგენლებთანაც
ანხმება.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

წაბლარის ხევის ტყე იწვის.

საზოგადო კრება. კვირას, 14
ემბერს, დილის 10 საათზე, სა-
ადო საკრებულოს დარბაზში (სა-
ორო კლუბში, ვორონცოვის ქუ-
დანიშნულია ეროვნულ-დემოკრა-
ული პარტიის წევრთა საზოგადო
ბა. მოხსენებებს სხვა და სხვა სა-
ებებზე გააკეთებენ: კომიტეტის თავ-
ომარე ალ. თორაძე, გაზეთ „ჩვე-
ქვეყნის" სარედაქციო კოლეგიის
ი 3. წერეთელი, და საბჭოს ფრაქ-
ს თავმჯდომარე ტრ. ჯაფარიძე.
შემდეგ მოხდება ქალაქის კო-
ეტის წევრების არჩევნები.

ჯარში გაწვევა. ქუთაისის სა-
მაზრო ერობის გამგეობამ შემდეგი
განკარგულება გამოსცა:

სამხედრო მინისტრის ბრძანებით
ყველა 1899, 1898, და 1897 წლებ-
ში დაბადებულნი ვალდებულნი არიან
გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში სა-
მხედრო აღრიცხვის ნაწილის უფრო-
სის სამმართველოში 15 ამა დეკემ-
ბრამდე.

ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ
ვადამდე, გადაეცემა სამხედრო საველ
სასამართლოს გასასამართლებ-
ლად. აგრეთვე ოჯახის ყველა ის
ერთად-ერთი მარჩენალი და საშუა-
ლო სასწავლებლის მოწაფენი, რო-
მელნიც აღნიშნულ ვადამდე არ გა-
მოცხადდებიან მიმღებ კომისიაში და
არ წარადგენენ სათანადო საბუთებს,
დაჰკარგავენ კანონით დადგენილ
შეღავათს და გადაეცემიან სამხედრო
საველე სასამართლოს გასამართლებ-
ლად. ყველა 1890, 1891, 1892,
1893, 1894, 1895, 1896, 1897,
1898 და 1899 წლებში დაბადებულ-
ნი ვალდებულნი არიან გამოცხად-
დენ სამხედრო აღრიცხვის ნაწილის
უფროსთან რეგისტრაციისათვის, აგ-
რეთვე მოვალენი არიან გამოცხად-
დენ ყველა ოფიცრები და ექიმები,
რომელნიც არ მსახურებენ ამ ჟამად
ჯარში და არ არიან დაბადებიდან
45 წელზედ მეტი. გამოცხადების
უკანასკნელი ვადა არის 15 ამა დე-
კემბერი.

სატკეპნი მანქანები. საქარ-
თველოს რესპუბლიკის ერობათა მთა-
ური კომიტეტი, სთხოეს ქუთაისის
სამაზრო ერობას შეატყობიოს რამ-
დენი სატკეპნი მანქანა არის ქუთაი-
სის მაზრაში, და რა სისტემის.

**ერთ და იმავე პირის ორ ად-
გილას სამსახური.** შინაგან საქმეთა
სამინისტროს განკარგულებით ერთ
და იმავე პირს, ორ ადგილას ჯა-
მაგირის დაკმაყოფილების თავიდან
ასაცილებლათ, ამა თუ იმ მოსამსა-
ხურის რაიმე თანამდებობაზე დანი-
შვნის დროს, დაწესებულება წინას-
წარ უნდა შეეკითხოს მის უფროსს
და გამოარკვიოს, ხომ არაფერი აქვს
საწინააღმდეგო, ამ უკანასკნელს,
რომ ეს მოსამსახურე განთავისუფლე-
ბულ იქნას სამსახურიდან.

დღეს გვარდიის დღე არის.
დღეს საქართველოს რესპუბლიკა
გვარდიის დღეს ღღესასწაულობს.
ქუთაისისათვის გამომუშავებულია შე-
მდეგი წესრიგი:

1) დილის 11 საათზე ქალაქის ბა-
ღის აღმოსავლეთით გაიმართება გვა-
რდიის და გარნიზონის ყველა ნაწი-
ლების პარადი.

2) პარადს მიიღებს ადგილობრივი
გვარდიის შტაბი.

5) პარ დზე სიტყვებს წარმოსთ-
ქვამენ შემდეგი ორგანიზაციის წარ-
მომადგენლები: 1) ს. ფ. პარტიის,
2) ს. დ. პარტიის 3) ნ. დ. პარტიის, 4)
ქალას თვითმართველობის, 5) ერო-
ბის, 6) ჯარის, 7) შუშათა ცენტ-
რალური საბჭოსი, და 8) გვარდიის
თითო 5—წუთი.

4) ამ დღეს მთელ ქალაქში ყვე-
ლა მაღაზიები და რესტორანები და-
ხურული იქნება.

5) მთელ ქალაქში ხიდეები, სახ-
ლები შეწყობილი იქნება ხალიჩებით
და გამოფენილი დროშები.

6) ქალაქის სხვა და სხვა ნაწილე
ბში ისეირიან მაშხალებს.

7) [illegible] ღამეს გვარდიის სასარგე-
ბლოთ [illegible]მართება ყველა [illegible]
ში და [illegible]ოფეკტორებში [illegible]
ნები.

**ანა ნიკოლოზის ძე კუხია
ნიძე** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას
1 ნოემბერს, დაკარგვია წითელი საშვა
ლო ტანის შეწყვეტილი ძროხა, მპოვნელს
სთხოვს [illegible]ოიყვანოს ქვიტირის ქუჩაზე
კუხიანიძის სახლში. რისთვისაც მი-
იღებს [illegible]ლდოთ ათას მანეთს.

უცხოეთი

აზერბაიჯანი

პურის შეძენა ამერიკიდან.

გზათა მინისტრმა მელიქ ასლანო-
ვმა ამერიკულ ფირმასთან ხელშეკ-
რულება დასდო ყოველ თვიურად
40,000 ფუთ პურის აზერბაიჯანში
შემოზიდვის შესახებ.

სომხეთი

გენ. ჰარბორდის მოხსენება.

გაზ. „Daily News"-ის ცნობით
გენ. ჰარბორდის მოხსენება მალე
დაიბეჭდება და არ იქნება ისეთი
შინაარსის, რომ შეერთებულ შტა-
ტებს ააღებინოს ხელი სომხეთის მა-
ნდატზე.

**სომხეთის დიპლომატიური წარმო-
მადგენელნი.**

სომხეთის პარიზის დელეგაციის
ცნობის თანახმად, მოკლე ხანში
სომხეთის წარმომადგენელნი დაინი-
შნება ეგვიპტეში, ბოლგარეთში,
შვეიცარიასა და ბელგიაში.

სომხეთის გამორკვება.

ლონდონიდან ლვინობისთვის 14-
ის თარიღით იტყობინებიან, რომ
შეერთებულმა შტატებმა სომხეთის
გამოკვება მარიამობისთვემდე თავის
თავზე იღო.

ქართველ-კათოლიკების ძვე-
ლი ისტორიული სიმდიდრის
გატაცება ახალციხიდან.

I.

ახალციხეში, არის ქართველ-კათო-
ლიკეთა ეკლესია, აშენებული XIII
საუკუნის დამდეგს.

ამ ძველს ეკლესიას ქონდა მდი-
დარი არქივი და სამკითხველო. ეს
სამკითხველო ივანე ნათლის მცემლის
ეკლესიასთანაა დაარსებული 1640
წ. მას შემდეგ ეს სამკითხველო ყო-
ველთვის ხელუხლებლათ არსებობდა
ახალციხეში, და თან იგი დღითი-
დღე მდიდრდებოდა ისტორიული წი-
გნებით.

ამ სამკითხველოში შეკრებილი
იყო ძველის ძველი წიგნები, ზოგი
საეკკლესიო და ზოგიც საერონი. სამ-
კითხველოს, თავის დაარსების დღი-
დან, ყოველთვის მფარველობდენ და
პატრონობას უწევდენ ივანე ნათლის
მცემლის ეკკლესიის მღვდელნი და
თან ისინი თავიანთ სამრევლოშიც
ჰკრეფდენ ძველ ქართულ წიგნებს და
ნივთებს, რასაც ათავსებდენ ამ სამ-
კითხველოში.

1870 წლების შემდეგ ამ სამკით-
ხველოს მფარველობდა ქართველ-კა-
თოლიკეთა მღვდელი ივანე მესხი. ეს
ისტორიკოსი ამ საუნჯეს დიდის მო-
წიწებით ეპყრობოდა. მ მეტათ ფრთხი-
ლათ უფლიდა, როგორც წიგნებს,
ისე სხვადასხვა ძველ [illegible]
რაც კი იქ ინახებოდ[illegible]
აქეთ...

[illegible] ზაფრობდა [illegible]
[illegible] სოფლებში და
[illegible] ძველ ბანძებს,
ძველ ქარაგულ ფულებს და ათავსებ-
და ამ სამკითხველოში.

ეს სამკითხველო პირველათ მე 1881
წ. გავიცანი და მეორეთ 1900 წ. იქ
ინახებოდა დიდძალი წიგნები ლათი-
ნურ ჯრანგული და იტალიურ ენებ-
ზე დაბეჭდილი.

ეს წიგნები XVI საუკუნის დასა-
წყისში იყვენ შემოტანილი ევროპი-
დან. მათი რიცხვი მრავალი იყო.

ამ სამკითხველოში მრავლად იყო
ძველი ქართული წიგნები, როგორც
დაბეჭდილები ისე ხელთნაწერი. ხელთ-
ნაწერ წიგნებში აი რა გვარი წიგნე-
ბი გახლავთ შენახულები:

სხვა და სხვა მისიონერების ქადა-
გებანი, დაწერილები, ანუ წარმოთ-
ქმული XVI საუკუნეში.

წიგნები, სადაც ჩამოთვლილი იყო
მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლი-
კეთა სოფლები, ამ სოფლებში მცხოვ-
რებ ქართველ კათოლიკენი და მათი
გვაროვნული ცნობანი. ამ წიგნიდან
სჩანდა, რომ მესხეთ ჯავახეთის კათო-
ლიკენი სულ ქართველი გვარისანი
იყვნენ.

წიგნები ახალციხის ქართველ-კა-
თოლიკეთა ვაჭრების, ხელოსნების ქ
მუშების შესახებ.

ყველა ცნობების და წიგნების აქ
ჩამოთვლა ძნელია, ამას კი ვიტყვით,
რომ ყველა ეს წიგნები [illegible] სკირ
ფასი მასალა საზოგადოთ საქართვე-
ლოს ისტორიის, და კერძოთ ქარ-
თველ კათოლიკეთათვის. მოკლეთ ით-
ქმის, რომ ამ ძველ სამკითხველოში
ინახებოდა დიდი საუნჯე ქართველი
ერის ისტორიისა.

ასეთი იყო ეს ივანე ნათლის მცემ-
ლის ქართველ-კათოლიკეთა ეკკლე-
სიის სამკითხველო.

ასეთ ძვირფას საუნჯეს, რომელიც
საუკუნოების განმავლობაში ხელ-
უხლებლივ ინახებოდა, უკანასკნელ
ხანებში რისხვა მოვლენია და სომეხ-
კათოლიკების ერთ მღვდელს გაუ-
ტაცნია.

ქართველ-კათოლიკეთა მღვდლის
ივანე გვარამაძის გარდაცვალების შემ-
დეგ, მთელი მესხეთ ჯავახეთის ქარ-
თველ-კათოლიკეთა ეკლესიის უფროს
გამგეთ დანიშნულ იქნა, სომეხ-კა-
თოლიკეთა მღვდელი ტერ აბრა-
მიანცი.

მთელ ამ თემის ქართველ-კათო-
ლიკეთა ეკლესიების გამგეთ ეს გახ-
ლდათ, იგი ირიცხებოდა არქიმან-
დრიტათ.

ამ პირმა ეს ძველი სამკითხველო
და ნივთები ჩუმათ გამოსტაცა მთელ
ქართველ კათოლიკობას და საზოგა-
დოთ მთელ საქართველოს ისტორიას,
და ყველა იგინი ფარულად ჩამოი-
ტანა თფილისში, აქ იყო ეს წიგნე-
ბი მცირეოდენ ხანს, აქედან ალექ-
სანდროპოლში გადაიტანა, სადაც
დიდი ძალა არის სომეხ-კათოლი-
კეთა...

ეს წიგნები აქაც ცოტა ხანს დარ-
ჩენილა. აქედან გადუტანიათ რუ-
სეთში ქ. სიმფეროპოლში.

ასე და ამ გვარათ, დღემდე უყუ-
რადღებოთ არის დარჩენილი ეს გა-
რემოება და დღესაც არავინ იცის,
თუ ეს ძვირფასი საუნჯე სად ინახე-

ბა, და არის კიდევ მისი დარჩენილი რამე თუ არა.

საჭირო კია, რომ ამას ყურადღება მიექცეს და ტერ აბრამიანს მოსთხოვონ მის მიერ ჩუმათ გატაცებული წიგნები.

ნ. ჭ.

შ. გომელაურის განეფილი.

9 დეკემბერს შ. გომელაურის ათი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად, ქალაქის თეატრში „ტაიფუნი“ დასდგეს. შ. გომელაური ახალგაზრდა მსახიობია, რომელიც ათი წლის განმავლობაში ქართულ სცენას ემსახურება. ქართველი მსახიობები არ არიან უზრუნველ ყოფილი მატერიალურად. შესაძლოა მათმა უმრავლესობამ სცენის გარეშე გაცილებით უკეთეს პირობებში იცხოვრონ, მაგრამ იგინი მაინც ერის კულტურულ საქმეს ემსახურებიან.

და მით უფრო პატივსაცემნი, არიან იმ საზოგადოებიდან, რომლებიც სტკბებიან, მათი მსახიობური ნიჭით. და გომელაურსაც როგორც სცენის მუშაკს მეტი ყურადღება და პატივისცემა ეჭირვებოდა საზოგადოების მხრივ.

მობენეფისეს, ვერ აურჩევია შესაფერისი პიესა.

„ტაიფუნი“, ეს მოქმედება საფრანგეთში ხდება, ფრანგებიც იღებენ მონაწილეობას, მაგრამ უმთავრესი გმირები კოლონისტები იაპონელები არიან, და ერთ ერთ უმთავრესი მოქმედის ტოკერმანის როლი, თვით გომელაურს აეღო. პიესის ერთი ნაწილი საშუალოა, ხოლო რომ გადავიდეთ მესამე მოქმედებაში, იქ სადაც ირონარუს ასამართლებენ, ჩვენთვის გამოუცნობი და დაუკმაყოფილებელი იქნება ცნობათ მოყვარეობა, თუ რა შედეგს მიაღწია სასამართლომ. თუ ფრანგები ასეთი მოსამართლენი არიან როგორც „ტაიფუნში“ ვხედავთ, მე გაბედულათ ვიტყვი რომ მთელი მათი ბურისპრუდენცია შეოლური მეცნიერება, და გამოუცნობი ანდაზა ყოფილა. მოსამართლის, ბრალმდებლის და დამცველის კრიმინალობა უბრალო მდგომიერ კითხვებით განისაზღვრებოდა. რომლითაც მიზანს თვით მსოფლიო წასული ისტორიის საუკეთესო იურისტი ულპიანიც ვერ მიაღწევდა. ეს რა საკვირველია არც მურისიძის, არც ჩხიკვაძის, და არც ჯაფარიძის ბრალია.

ამაში დამნაშავე ავტორის უსისტემობაა.

მობენეფისე გომელაური ტოკერმანის როლში კარგი იყო. გომელაურს აქ მეტი დარბაისლობა ეტყობოდა ვიდრე სხვა დროს.

შ. ჯაფარიძე „ქუთაისის პოგრომში“ გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე აქ დამცველის როლში.

დასასრულს უნდა მოგახსენოთ, რომ პირადათ ჩემთვის გამოურკვეველია რატომ უწოდეს ამ პიესას „ტაიფუნი“ თუ ეს სიმბოლიური სიტყვაა, მთარგმნელს ესეც უნდა აღენიშნა.

ბაჭუა.

პასუხი გ. მელიტონ ჩაჩელაშვილს.

დიდათ პატივცემულო მელიტონ! გაზეთ „სოციალ დემოკრატის“ ფურცლებზე წავიკითხე თქვენი კრიტიკა ჩემი წერილების გამო, რომლებიც დაბეჭდა გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ ფურცლებზე. გულახდილათ უნდა მოგახსენო, რომ ასეთი უხეში, უშინაარსო, მრავალთსიტყვაობა თქვენს წერილში რომ არის, არც ერთ მას წავლებელს, საზოგადო მოღვაწეს თუ მწერალს თავის დღეში არ დაუწერია და ვერც დასწერს კიდეც რომ მოინდომოს, ვინაიდან ყველა ხომ თქვენისთანა „კრიტიკოსები“ არ იქნებიან?

ვაუხვარ ვრცელ პასუხს ვერ გაძლევთ, მაგრამ ეს გარემოება გამოწვეულია იმ ულრმესი პატივისცემით, რომელსაც მე ვჰპოებ მათში. რომლებსაც მე თქვენთან ერთად კარგათ ვიცნობთ.

ნიკ. ახვლედიანი.

კორესპონდენცია.

სოფელი ზნაკვა (რაჭის მაზრა) განიცდის დიდს გაჭირვებას ყოველ მხრივ. სოფ. ზნაკვის საზოგადოება დაჩაგრული არის როგორც უსურსათ უსანოვაგეობით აგრეთვე ადმინისტრაციის მოღვაწეობით.

ბატონ ზნაკვის საზოგადოების კომისარს, არც კი მოუხდენია ჯერ თავის საზოგადოებაში, ერთდროული გადასახადის გაწერა და სხვა, რომლებიც რაჭის მაზრაში ალაგ ალაგ უკვე ჩატარებულია.

ყოველ დღიური დაკვირება გვიმტკიცებს რომ საზოგადოების კომისარი ვერ დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე და ამიტომ სასურველი იქნებოდა რომ, ან ამბროლაურის რაიონის კომისარი, ან რაჭის მაზრის კომისარი და ან რაჭის სამაზრო ერობა ყურადღებას მიაქცევდეს ამგვარ ჩვენ მდგომარეობას და ან ღირსეულ კომისარს დაგვიყენებდეს, რომელიც ხალხის ჭირ ვარამზე იზრუნებს, და ან დღევანდელ კომისარს სწორ გზაზე დააყენებდეს.

შუა ზნაკველი.

სად. სვირი. შარშან აქ გაიხსნა სამკითხველო. მაგრამ საუბედუროთ ამ სამკითხველომ დიდანს ვერ [illegible]სება. ის მალე იქნა დახურ[illegible] როცა [illegible] [illegible]ლოს დახურვის მიზეზი გვიპასუ[illegible] უსახსრობაა.

მსახიობებმა მრავალი საღამ[illegible] მართეს, რომ სამკითხველო [illegible]ნიადაგზე დაეყენებიათ, მაგრამ [illegible]რის სამკითხველოს გამგეობამ [illegible]ნადოთ ვერ მოიხმარა ეს თანხა, [illegible] დღესაც არ ვიცით რას მოხმარ[illegible]ფული.

საჭირო არის რომ სამკითხვ[illegible] გამგეობამ მიიღოს ზომები, და [illegible]ლებისამებრ სამკითხველო ნ[illegible]ლურ კალაპოტში ჩააყენოს.

წერილი რედაქციის მიმართ[illegible]

ბ-ნო რედაქტორ[illegible]

ნება გვიბოძეთ, თქვენი გაზ[illegible] საშუალებით, უღრმესი მადლობ[illegible] მოუცხადოთ სტუდენტ ბ-ნ მიხ[illegible]ლვაბიჩავას რაჟდ. გოგოხიას და [illegible]ნაკის გიმნაზიის მოსწავლეებს: [illegible]ლორთქიფანიძეს, გ. ხუნწარიას [illegible] გ. ფულარიას, რომელთაც თ[illegible] დაუღალავი შრომით და ყოველ[illegible] დახმარებით მოგვცეს საშუალებ[illegible]ლაქ სენაკში, კვირას, 7 დეკემ[illegible] საღამო ჩაგვეტარებია.

ქუთაისის მოწაფეთა ხელ[illegible]ბის ჯგუფის „წინსვლის ემბლ[illegible]

გამგეო[illegible]

ბ-ნო რედაქტორ[illegible]

გთხოვთ, თქვენი გაზეთის [illegible]რში ამ წერილის დაბეჭდვით, [illegible]ცეთ საშუალება .ულრმესი მად[illegible] გამოუცხადო, ექიმ იოსებ (ს[illegible] ასლანიშვილს, რომელიც დად[illegible] ჩემს ბინაზე და უსასყიდლოდ 2[illegible] სუსტის ნემსი გამიკეთა.

პატ. **ერ. მეგენეიშვი[illegible]**

[illegible] „დალი“.

ნაკვთი სვანთა თქმულებიდან

(დასასრული).

IIII.

გავიდა ცოტა ხანი... გამოიდარა... და გამოჩნდა ბეთქანის სურათი, რომელიც ცალი ხელით კლდეზე ჩამოკიდებულიყო და ცალში კი თოფი ეკავა, იგი მწუხარედ გადმოიყურებოდა სოფლისაკენ და ცრემლები სცვივოდა მის შემყურეს.

ეხლა კი დასწყევლა ქალის გრძნეულება, ჯადოქრობა, დასწყევლა ის ხორციელი სიყვარული, რომელმაც იგი სძლია, დასწყევლა ღალატი წმიდა სიყვარულისა და ის დღე, ის წუთი, წამი, რა წამსაც იგი შეცდა და დაგმო ეს წმიდა სიყვარული.

თავი ძირს დაჰხარა და შეჰხედა ხალხს, რომელიც მის საშველად მოსულიყო, საშინელმა ჭრუანტელმა დაუარა ტანში, მაგრამ თავი მაინც შეიკავა და მაღალი ხმით გადასძახა:

— „ხალხო ტყულა ნუ სწუხდებით, მე ვერ მიშველიო, მხოლოდ ისმინეთ თქვენი მოღალატე ბეთქანის უკანასკნელი თხოვნა—ფერხული გაბით, უკანასკნელად გამა[illegible] თქვენი ხმა, შუაში გაირიყეთ [illegible] ჩემი რძალი, ჩემი დამლუ.....“

და ვერ გაათავა ეს სიტყვა, რადგან ბოლმა მოაწვა, ცრემლების ზღვა, რომელიც მის გულში დაგუბებოდა თვალთაგან გადმოსკდა, ძირს ნაკადულებათ იქცენ და მოედვენ ჩუხჩუხით მთელ სოფელს.

ფერხული გააბეს.. კანკალმა აიტანა ბეთქანის სხეული. ნუ თუ აწი ვერ გაიგონებს ამ სანეტარო ხმას და ვერ ჩაერევა ამ ვაჟკაცებში!

და ფერხულის ხმა ზუზუნით მოედო მთასა და ბარსა, კვნესოდა თვით ცა და დედა-მიწა:

— „ბაილ ჩუ ლალზვერლიხა მუჟალ ია მულახ“ —

და მას ჩანასკვეს ბეთქნის სიკვდილი მისი ცხოვრება...

გათავდა ფერხული, შავს კლდიდან შავ წერტილსავით
გადმოეშო ბეთქანის სხეული და
ძირს ქაფად იქცა,
ვერც ნახეს ერთი ძვალის ნამსხვრევი.
გაისმა სოფელში გლოვა და ზარი, აქვითინდა
სოფელი და მათ ხმა მისცა მთამაც და ბარმაც:

— „იტირეთ, იტირეთ თქვენ ქვეყნის შვილნო, ბანი მიეცით თქვენ მრისხანე მთანო, ჰექა ქუხილით შემოსეთ ბეთქანის უხილავი სხეული, მისი სიყვარული; გადმოიქეცით თქვენც შვავნო, რისხვად დაეცით სოფელს და გადაჰფარეთ თეთრი სუდარა; გადმოდინდით თქვენც მთის ნაკადულნო, მოეფინეთ სოფელს ყოველგან და გადარეცხეთ სოფლის წუხილი, კვნესა, ჭორიკანობა“. გავიდა ცოტა ხანი. მთის ციცაბოზე გამოჩნდა, თმა გაშლილი ქალი, რომელიც რაღაცას ბუტბუტებდა. მას თვალები ჩაცვენოდა, სახე შეშლოდა, მის ოქროს თმებს ნაზი სიო იქით აქეთ აქანებდა, თითქოს არწევდა.

კვნესოდა თვით ბუნება მისი საოდაობით.

იგი სოფლისკენ იყურებოდა, ბეთქანს უხმობდა, კვლავ უმეორებდა ფიცს, მასაც ფიცს სთხოვდა, სიყვარულის რითმებს რთავდა. მთის ლაღი შვილნი ჯიხვნი და არჩვნი გროვად დასდევდენ მათ შეშლილ ღმერთას და ცრემლებით ამკობდენ ყოველ მის სიტყვას, ხოლო იგი კი მათკენ არ იხედებოდა. უცებ შეჩერდა, უბრძანა განშორება თვის მოთაყვანეთ, თან დატოვა მარტო კოჭლი ჯიხვი და დღესაც იგი მარტო ამ ჯიხვით დაძრწის, წანწალებს მთის ლოთებში, ხან რას იძახის, ხან ჰბუტბუტებს, ხან ბეთქანს უყ[illegible] მაგრამ არა აქვს არაფრის გრძ[illegible] არც სამოსელი აქვს და არც სხვ[illegible]

VI

სდუმდა ყოველისფერი, თვით[illegible] სხივებსაც კი დაეკარგათ თვისი[illegible] სიცოცხლო ელფერი, მთის ნ[illegible] აღარ შხუოდნენ და მთებსაც [illegible]ყე დავიწყებოდათ,—მწუხარედ [illegible]ყრდნოთ სოფლისაკენ თავები[illegible] ჭირისუფალ მტირალა ქალსავ[illegible]ზად დასცქეროდენ.

ყოველივეს სიკვდილის ელ[illegible]ედო, არსაიდან ხმა არ ისმ[illegible] მხოლოდ იქ, სოფლის შუაგ[illegible] კოშკიან სახლში, დედაბერი [illegible] და თითის ტარზე ჭორიკანობას [illegible]ვდა—ეს იყო თამარ—მას გარ[illegible] მოხვეოდნენ სოფლელი დედ[illegible]ცები, ყურს უგდებდენ „ბეთ[illegible] ამბავს“ და თან კი სწავლობდ[illegible] დოსნურ ჭორიკანობის რთვას.

მაღალნი მთანი მწარედ ს[illegible]დენ, ცრემლით ნამავდენ თვის[illegible] მკერდს და მწუხარენი გაიძახო[illegible] „ჭორიკანობა, ჭორიკანობა“.

ბ. მუშვ[illegible]

სტამბა ნ. ფერაძის და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.